საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანებაN01-08/30

ქ. ბათუმი 18 სექტემბერი, 2013 წ.

,,2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2013 წლის 21 აგვისტოს №01-08/25 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და 2013–2014 სასწავლო წელს ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-56-ე, 61-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე–13 მუხლის, ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 20 აპრილის №02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის-შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის'' მე–8 მუხლის მე–11 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ძალადაკარგულად იქნას ცნობილი ბსუ–ს რექტორის 2013 წლის 21 აგვისტოს №01-08/25 ბრძანება ,,2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ'';
2. 2013-2014 სასწავლო წელს ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს მიეცეთ უფლება სწავლის წლიური საფასური გადაიხადონ 6 ეტაპად:

ა) I ეტაპი – პროფესიული და ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთათვის 30 სექტემბრის ჩათვლით, მაგისტრანტებისათვის – 07 ოქტომბრის ჩათვლით, ხოლო დოქტორანტებისათვის 20 ოქტომბრის ჩათვლით;

ბ) II ეტაპი - 09 ნოემბრის ჩათვლით;

გ) III ეტაპი- 28 დეკემბრის ჩათვლით;

დ) IV ეტაპი– 01 მარტის ჩათვლით;

ე) V ეტაპი 15 აპრილის ჩათვლით;

ვ) VI ეტაპი – 31 მაისის ჩათვლით;

3. ბრძანება აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და სტუდენტებს, ასევე განთავსდეს მათ პირად საქმეებში;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №52) მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში;
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი ა. ბაკურიძე